საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2254-03
25/11/2022

,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში სტიპენდიატთა შერჩევის კრიტერიუმებისა და რაოდენობების დამტკიცების შესახებ" ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 8 ოქტომბრის N3239-03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის საფუძველზე, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოადგილის ირინა ბაზღაძის 2022 წლის 24 ნოემბრის N18500-35 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შევიდეს ცვლილება ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში სტიპენდიატთა შერჩევის კრიტერიუმებისა და რაოდენობების დამტკიცების შესახებ" ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 8 ოქტომბრის N3239-03 ბრძანებაში, კერძოდ:

2. ა) ბრძანების 1-ლ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,1. ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში, სტიპენდიატთა შერჩევა სწავლების ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე განხორციელდეს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ, გაზაფხულისა და შემოდგომის სემესტრების შედეგების მიხედვით."

ბ) ბრძანების 2.1 და 2.2 პუნქტებში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,2.1 ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა შორის სტიპენდიატთა შერჩევა განხორციელდეს გასული სემესტრის მონაცემების მიხედვით, ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს მიერ შერჩეული ერთ-ერთი შემდეგი პრინციპით:
ა) სტუდენტთა აკადემიური მოსწრების სარეიტინგო შედეგის 100%;
ბ) სტუდენტთა აკადემიური მოსწრების (წილობრივად სარეიტინგო შედეგის 90%) და შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს მიერ დადგენილი აქტივობების (წილობრივად სარეიტინგო შედეგის 10%) საფუძველზე, რეიტინგული პრინციპით.

2.2 რეიტინგული პრინციპი დგინდება თითოეული ფაკულტეტისთვის/სკოლისთვის და რაოდენობრივად ნაწილდება უნივერსიტეტში ჯამურად არსებული აქტიური ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების საერთო რაოდენობისა და ფაკულტეტზე არსებული სტუდენტების პროპორციულად. რეიტინგში არ მონაწილეობენ პასიური/სტატუსშეჩერებული სტუდენტები და სტუდენტები, რომლებსაც წინა სემესტრში მიღებული აქვთ 30 კრედიტზე ნაკლები.“

2. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანებით გათვალიწინებული ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსება.

3. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს/სკოლას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეს, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, არგუსის ადმინისტრატორს ცენტრალურ დონეზე ირინა ბაზღაძეს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი